აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№71 (25.095) ხუთშაბათი, 6 - 7 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 20-30 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ისრაელის კულტურისა და სპორტის მინისტრ მახლუფ მიკი ზოჰარს შეხვდა

მხარეებმა საქართველოსა და ისრაელის მრავალმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება. აღინიშნა ქვეყნებს შორის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები

თორნიკე რიჟვაძემ მადლიერება გამოხატა ისრაელის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე მისი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ურყევი მხარდაჭერისთვის, გამოთქვა მზადყოფნა თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

თავის მხრივ ისრაელის კულტურისა და სპორტის მინისტრმა ბათუმის სწრაფ განვითარებას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ თანამშრომლობა ისრაელსა და საქართველოს შორის და განსაკუთრებით ბათუმთან მიმართებაში, მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ისრაელ-საქართველოს შორის ტურიზმის, კულტურის, სპორტის, სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზადყოფნა, განაგრძონ მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში.

შეხვედრას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, ისრაელის სახელმწიფოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს გენერალური დირექტორი კფირ ჰაკოენი, ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰადას მეიცადი, მისიის ხელმძღვანელის მოადგილე/კონსული ჰადას კოენი და ისრაელის სახელმწიფოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ჰენ ავითანი ესწრებოდნენ.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

ვიდეორგოლის წარდგინება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უსაფრთხო ტურიზმთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის მომზადებული ვიდეორგოლი წარადგინა. ღონისძიება, რომელიც ბათუმში გაიმართა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ გახსნა.

ვიდეორგოლის პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს სიტყვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია ომიაძემ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა მიმართეს.

პარლამენტმა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო დაჩქარებული წესით გააუქმა

5

ხიჭაურის დასახლებას მალე ახალი სტატუსი ექნება

6

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველ დირექტორ მატეო პატრონეს შეხვდა, რომელმაც მთავრობის მეთაურს კავკასიაში EBR-ის ახალი რეგიონული დირექტორი ალკის ვრენიოს დრაკინოსი წარუდგინა. შეხვედრაზე თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და პროექტები მიმოიხილეს. ბანკს საქართველოში, ჯამში, 286 პროექტში დაახლოებით 5 მლრდ ევროს ინვესტიცია აქვს განხორციელებული.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარემ საკანონმდებლო ორგანოში ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ფრანსის დრუენს და ასამბლეის დელეგაციას უმასპინძლა. შალვა პაპუაშვილი დელეგაციის წევრებს ესაუბრა ქართული პარლამენტარიზმისა და პარლამენტის შენობის ისტორიაზე. „საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა ევროპაში, სადაც გაიმართა საყოველთაო არჩევნები, სადაც საარჩევნო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღეს ქალებმა და სადაც პარლამენტში არჩეული იყო ხუთი ქალი დეპუტატი. საქართველო იყო მეორე ევროპული ქვეყანა, ფინეთის შემდეგ, სადაც ქალები არჩეული იყვნენ პარლამენტში, ასე რომ, დემოკრატიას და თანასწორობას საქართველოში აქვს ღრმა ისტორიული ფესვები და ამ კუთხით საქართველო ერთ-ერთი პიონერია“, - აღნიშნა მან.

* * *

საქართველოს ელჩი უკრაინიდან გამოძევებული არ არის - საქმე აქამდე არ მისულა, - განაცხადა პოლიტიკურ ჯგუფ „ლელოს“ ხელმძღვანელმა დავით უსუფაშვილმა. მისი თქმით, დიპლომატიის პრაქტიკაში ეს არაორდინარული სვლაა, თუმცა ელჩი გამოძევებული არ არის და დარწმუნებულია, არც გამოძევდება. როგორც ცნობილია, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საგარეო უწყებას დაავალა, დაიბაროს საქართველოს ელჩი, გამოუცხადოს მკაცრი პროტესტი და 48 საათში ქვეყნის დატოვება შესთავაზოს, რათა ოფიციალურ თბილისთან მიხეილ სააკაშვილის საკითხზე კონსულტაციები გამართოს. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ელჩთან კონსულტაცია გამორიცხულია.

* * *

პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომელზეც „თავდაცვის კოდექსის“ პროექტი მეორე მოსმენით უნდა განეხილათ, კვორუმის არარსებობის გამო ვერ გაიხსნა. რეგისტრაცია მხოლოდ 65 დეპუტატმა გაიარა, მათ შორის, რამდენიმემ - ოპოზიციიდან.

მოამზადა ია შველიძემ

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მუზეუმი გულშემატკივრებს საინტერესო სიახლეებს ჰპირდება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის ხელოვნების მუზეუმს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორმა თეონა ზოიძემ მუზეუმის თანამშრომლებს თენგო დოლიძე წარუდგინა

აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან თენგო დოლიძე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, ასევე, გახლდათ აჭარის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციის სამსახურის უფროსი. დამთავრებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტი. სწავლობდა რიგაში, ტურიბას ბიზნესის უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით. ხუთი წელია მიწვეული ლექტორია კოლეჯში „ბლექსი“.

თენგო დოლიძე „Forbes Georgia“-ს პროექტის „30 under 30“-ის მედია/მარკეტინგის კატეგორიის 2021 წლის გამარჯვებულია.

ახალგაზრდა ხელმძღვანელს საპასუხისმგებლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორმა. როგორც მან აღნიშნა, დარწმუნებულია, ხელოვნების მუზეუმს სათავეში ჩაუდგა ადამიანი, რომელიც გუნდთან ერთად დაუღალავად იშრომებს, რომ კიდევ უფრო საინტერესო გახადოს ხელოვნების მუზეუმის ყოველდღიურობა.

- ჩემთვის მნიშვნელოვანია ხელოვნების მუზეუმში დაიგეგმოს ღონისძიებები, რომლებიც საინტერესო იქნება საზოგადოებისათვის. შესაბამისად, იმ გამოცდილებით, რა გამოცდილებაც აქვს თენგო დოლიძეს სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, გაამართლებს ამ ხედვას და ხელოვნების მუზეუმი გახდება ერთგვარი ჰაბი ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმით ვიხელმძღვანელე, როდესაც მივიღე გადაწყვეტილება მისი აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნის შესახებ და ორმაგად სასიხარულოა, რომ ის არის ახალგაზრდა, აქვს გამოცდილება მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულებით და დამთავრებული აქვს შესაბამისი სპეციალობით უნივერსიტეტი, - განაცხადა თეონა ზოიძემ.

გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაიხადა ახლად არჩეულმა ხელმძღვანელმა და საზოგადოებას არაერთ საინტერესო სიახლეს შეჰპირდა.

ბათუმი ხვალ კიდევ ერთ საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმის სპორტის სასახლე 2023 წლის 7-9 ივლისს სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-4 საერთაშორისო გამოფენას ExpoMed Batumi უმასპინძლებს

ღონისძიება 7 ივლისს, 11 საათზე გაიხსნება (მისამართი: ლადო ასათიანის N 27).

ორგანიზატორია საერთაშორისო საგამოფენო კომპანია Expo Batumi.

გამოფენა ExpoMed Batumi-ს მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, რაც უზრუნველყოფს ახალი კონტაქტების დამყარებასა და სამომავლო თანამშრომლობას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სამედიცინო აღჭურვილობა და ხელსაწყოები, ერთჯერადი მოხმარების საგნები, სადიაგნოსტიკო აპარატურა, პრევენციული და პოსტდიაგნოსტიკური მკურნალობა, სამედიცინო და ზოგადი მომსახურება, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა, IT სისტემები, ორთოპედია, ფიზიოთერაპია-რეაბილიტაცია და სხვა. გაიმართება საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია და B2B შეხვედრები. დაგეგმილია სხვადასხვა სახის აქტივობა და მასტერკლასი. გამოფენის მსვლელობისას გაიმართება სისხლის დონაციის აქცია „გაეცი სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“.

გამოფენაში 60-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულება მიიღებს მონაწილეობას. მხარდამჭერები არიან აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თურქეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო, ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია, თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, აჭარის ტელევიზია, TV 25 და გაზეთი „აჭარა“.

გამოფენაზე დასწრება თავისუფალია.

ინფორმაცია გააცნო, შეკითხვებს უპასუხა

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

მიწის სისტემური რეგისტრაცია ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში ხორციელდება (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დირექტორი დავით დევიძე ხულოში იმყოფებოდა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, მისი მოადგილეები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ. დავით დევიძემ მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარადგინა და აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, რეფორმის ფარგლებში, ხულოს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში არსებული მიწები აიზომება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022-2024 წლებში გეგმა-გრაფიკის მიხედვით აზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში დაარეგისტრირებს მიწის ნაკვეთებს. პროექტით სარგებლობა არის სრულიად უფასო. შეიქმნება ერთიანი ზუსტი კადასტრული და სამართლებრივი მონაცემები (რუკა), ასევე, განვითარდება უძრავი ქონების ბაზარი.

ფერდსამაგრი და საყრდენი კედლები ამოჰყავთ

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დასახლებულ უბნებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, 50-ზე მეტი დიდი და მცირე პროექტი ხორციელდება. გამორჩეული ყურადღება ექცევა საყრდენი და ფერდსამაგრი კედლების ამოყვანას

სოფელ ოლადაურში, სინდაურის უბანში მცხოვრები ქარცივაძეების საცხოვრებელ სახლებსა და დამატებით სათავსებს საფრთხე ემუქრება. ფერდსამაგრი კედლის მშენებლობის სამუშაოებს კონკურსში გამარჯვებული შპს „მიზანი-2020“ ასრულებს. მეწარმე და დროებით დასაქმებული 10-მდე ადგილობრივი მუშა ცდილობს ზაფხულის მზიანი დღეები ორგანიზებულად გამოიყენოს და საქმეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში მორჩეს.

საყრდენი კედელი ამოჰყავთ სოფელ ახალდაბაში, ზურაბ უსტიაშვილის სახლთან მისასვლელ გზაზე. ამ პროექტის ღირებულება 24 ათას ლარზე მეტია. სამუშაოებს შპს „ტარკაპიტალი“ ასრულებს. სინდაურის უბანსა და ახალდაბაში მიმდინარე სამუშაოებს შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელები გაეცნენ.

- სოფლად მცხოვრები ოჯახებს თვითმმართველობის წარმომადგენელთა ყურადღება და თანადგომა არ გვაკლია, - გვითხრა ოლადაურელმა მერაბ მაკარაძემ, - სოფელი უკვე დაბა შუახევს მოასფალტებული საავტომობილო გზით უკავშირდება. მეწარმემ შარშან დაშვებული შეცდომები გამოასწორა და უკვე ოლადაურელები კეთილმოწყობილი გზით ვსარგებლობთ.

შშმ და ხანდაზმულ პირთა პროგრამის განხილვა – აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის“ პროგრამის მიმდინარეობასთან, ასევე, გაზრდილი მომართვიანობის და საპროგნოზო ცვლილებების საკითხებთან დაკავშირებით, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეხვედრა გაიმართა.

ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე მოადგილეებთან, სოციალური და იურიდიული დაცვის დეპარტამენტების უფროსებთან ერთად პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრაზე სხვადასხვა საკითხი განიხილეს. იმისათვის, რომ მინიმუმამდე დავიდეს დამხმარე საშუალებების მიღებისას ბენეფიციართა ლოდინის პერიოდი, სამინისტრო პროგრამაში გარკვეულ ცვლილებებს და პროცესში პირველადი ჯანდაცვის რგოლის - ოჯახის ექიმების ჩართვას განიხილავს.

პროგრამის მოსარგებლეები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები არიან, მათ შორის, ბავშვები, მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით, ასევე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი პირები და თავშესაფრის კონტინგენტი. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა საჭიროების მქონე პირთა უზრუნველყოფას დამხმარე და მოვლის საშუალებებით.

სამინისტრო პროგრამას 2017 წლიდან ახორციელებს.

თუ ამ გზით ვივლით...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები დრამატულად ვითარდება: რუსეთ-უკრაინის ომმა წელიწადზე მეტია, მსოფლიო შეძრა, ახლახან კანადაში სტიქიურმა უბედურებამაც მთელი პლანეტა აფორიაქა. მშვიდად არც აშშ-ში საპრეზიდენტო კანდიდატების დასახელება და ევროპის რიგ ქვეყნებში ადგილობრივი არჩევნები მიმდინარეობს. საგრძნობია ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში ჩინეთის გავლენის ზრდა



ცხადია, ამ მოვლენების ექო ჩვენამდეც აღწევს. კითხვებს ბადებს უკრაინასთან ურთიერთობა და უკრაინის პრეზიდენტის მოთხოვნა, საქართველოს ელჩისადმი ქვეყნის დატოვების მოთხოვნის შესახებ. ეს ახალი გამოწვევები გააზრებულ პოლიტიკას მოითხოვს. ის, რომ პარტიები, ფაქტობრივად, ჩაებნენ საარჩევნო მარათონში, თვალნათელია. გადაადგილებებია პოლიტიკურ სპექტრში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო დეკემბერში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების მოლოდინშია. დასავლეთის პოლიტიკური ელიტა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ევროპულ კურსს არ გადაუხვიოს, გაატაროს რეფორმები, აღმოფხვრას პოლარიზაცია, შეასრულოს 12 რეკომენდაცია. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიუსელში ვიზიტისას განაცხადა, რომ „ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ქართველების მრავალი თაობის ოცნების აღსასრულებლად - ევროკავშირში გასაწევრიანებლად“. ამ მიმართებით ნაბიჯები გადადგმულია, დასავლეთმა დადებითად შეაფასა პრეზიდენტ ზურაბიშვილის გადაწყვეტილება გვარამიას შეწყალებასთან დაკავშირებით, თუმცა შეშფოთება გამოთქვა საკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. უკრაინის, მოლდოვის პრეზიდენტებმა მოუწოდეს ოფიციალურ თბილისს, გაუშვას საკაშვილი უცხოეთში სამკურნალოდ. მსგავსი მოწოდებები გააკეთეს ევროპარლამენტის წევრებმაც. თავის მხრივ დასავლეთის ამგვარ შეფასებას არ ეთანხმება საქართველოს ხელისუფლება: „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა შეშფოთებას უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო - დაატოვებინოს საქართველოს ელჩს ქვეყნის ტერიტორია კონსულტაციის მიზნით... სამწუხაროა, რომ ოფიციალური კიევი მიმართავს ამ ნაბიჯს მეგობარი სახელმწიფოს და ხალხის მიმართ... მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის ირგვლივ სპეკულაციებს წერტილი დაუსვა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა სახელმწიფოს მხრიდან მიხეილ სააკაშვილის უფლებების დაცვის უმაღლესი სტანდარტები“, - ნათქვამია განცხადებაში. ასევე, ირაკლი კობახიძე აცხადებს: „გუშინ რაც ვნახეთ, ეს იყო რეზექციის, კუჭის ოპერაციის რეკლამა“. ექსპერტები თვლიან, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დეპოლარიზაციის აღმოფხვრისკენ ქმედითი ნაბიჯი გადადგა, თუმცა რამდენად მოსალოდნელია ქვეყანაში დეპოლარიზაციის აღმოფხვრა, ეს კიდევ საკითხავია. როგორც გაცხადდა, ნიკა გვარამია აღარ უხელმძღვანელებს „მთავარ არხს“, ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ პოლიტიკაში მის მოსვლას. სავარაუდოდ, ის ან „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდება ან ახალ პარტიას შექმნის. ხატია დეკანოიძე გვარამიას ადგილს „ნაცმოძრაობაში“ ვერ ხედავს. უკვე საუბრობენ მესამე ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე. ამ მიმართებით საყურადღებოა ამასწინანდელი სოციოლოგიური გამოკითხვები. მაგალითად, „ედისონ რიჩერსმა“ მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა: მმართველ გუნდს ელექტორატის 37 პროცენტი უჭერს მხარს; „ნაცმოძრაობას“ - 25, გახარიას პარტიას „საქართველოსთვის“ და „ლელოს“ - 6-6, „ლეიბორისტების“ მხარდაჭერა ხუთი პროცენტის ფარგლებში მერყეობს. სხვა პარტიების მაჩვენებელი უმნიშვნელოა. თუ ეს გამოკითხვა, გარკვეულწილად, გამართლდა, საბოლოო ჯამში ოპოზიცია გაიმარჯვებს და შეეძლება კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება, მაგრამ ისმის კითხვა: რამდენად შეძლებს ოპოზიცია გაერთიანებას? „ლელომ“ განაცხადა, რომ არ აპირებს „ნაცმოძრაობასთან“ გაერთიანებას, არადა ამ პარტიის გარეშე ოპოზიციური პარტიები ვერ შეძლებენ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას. ეს უდავოა. დღეს ზოგმა პარტიამ, მათ შორის „ლელომ“ დაიწყეს საუბარი დამოუკიდებელ მესამე ცენტრზე. „ნაცმოძრაობაზე“, ისე როგორც მმართველ გუნდზე, ხელი უნდა ჩავიქნიოთ. ფიქრი უნდა დავიწყოთ იმაზე, თუ როგორი იქნება „ქართული ოცნების“ შემდეგ ქვეყანა, - აცხადებს პარლამენტარი იაგო ხვიჩია.

ექსპერტთა აზრით, არჩევნები კვლავ ორპოლუსიანი იქნება, ზოგის შეფასებით კი მრავალპოლუსიანი. 2024 წლის არჩევნების შედეგს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, პირველ ყოვლისა, არჩევნების შედეგზე აისახება ის, მიენიჭება თუ არა საქართველოს კანდიდატის სტატუსი, ასევე, როგორი იქნება საარჩევნო ბარიერი. არის სხვა შიდა და გარე ფაქტორები... როგორც აღვნიშნეთ, კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ხელისუფლება სათავისოდ გამოიყენებს, ასევე თუ საარჩევნო ბარიერი 5 პროცენტი იქნება, მაშინ, სავარაუდოდ, მმართველი პარტიის გარდა მხოლოდ „ნაცმოძრაობა“ და გახარიას პარტია გადალახავს საარჩევნო ბარიერს, ამიტომ ექსპერტები ოპოზიციას ურჩევენ მესამე ცენტრის შექმნას, რათა კონკურენცია გაუწიონ მმართველ გუნდს და „ნაცმოძრაობას“. საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს თუ თვალს გადავავლებთ, არჩევნები ყოველთვის ორპოლუსიანი იყო. თუ რა შედეგებით დასრულდება მომავალი არჩევნები, დრო დაგვანახებს. ერთი რამ ცხადია, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ისტორიული მნიშვნელობის იქნება იმიტომ, რომ არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდება, აქ ასევე იკვეთება ერთი ძალიან საყურადღებო საკითხი: თუ მმართველი პარტიის და „ნაცმოძრაობის“ გარდა საარჩევნო ბარიერს სხვა პარტიები ვერ გადალახავენ, მათი შედეგები ამ ორ პარტიაზე გადანაწილდება, რაც არჩევნებს კიდევ უფრო დამაინტრიგებელს ხდის.

> *„რამდენად მოსალოდნელია ქვეყანაში დეპოლარიზაციის აღმოფხვრა, ეს კიდევ საკითხავია. როგორც გაცხადდა, ნიკა გვარამია აღარ უხელმძღვანელებს „მთავარ არხს“, ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ პოლიტიკაში მის მოსვლას. სავარაუდოდ, ის ან „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდება ან ახალ პარტიას შექმნის. ხატია დეკანოიძე გვარამიას ადგილს „ნაცმოძრაობაში“ ვერ ხედავს*

რაც შეეხება მესამე პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას. ექსპერტთა თქმით, ასეთი ძალა ყოველთვის იქმნება მმართველი პარტიის ბირთვში, ან ყოფილი მმართველი გუნდის წევრებისგან კომპლექტდება. ეს ერთი მხრივ პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებას იწვევს, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს ტრადიციული სახეების შენარჩუნებას პოლიტიკაში. ექსპერტები აცხადებენ, რომ სურათი ამ მიმართებით არასახარბიელოა, რასაც თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები გააჩნია. ყველაზე დიდი საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვის არასტაბილური პოლიტიკური გარემოა, რამაც წარსულში საქართველოს არაერთი უბედურება მოუტანა, სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს დასავლეთი ქმედითი ნაბიჯების გადადგმას 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად. გზა ევროპისკენ და ნატოსკენ წარმატებული ქვეყნების ხვედრია და თუ ამ გზით ვივლით, არც პროგრესულ ქვეყანათა მხარდაჭერა და თანადგომა მოგვაკლდება, რაც, უპირველესად, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. ეს საკითხი თითოეულ მოქალაქეს აღელვებს, რადგან მათ დადებითად გადაწყვეტაზე დიდადაა დამოკიდებული საქართველოს უსაფრთხოება და კეთილდღეობა.

ახალი ხიდები – ქობულეთის მუნიციპალიტეტში

მართა იბერიელი 27 48 94

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩაქვი-ჩაისუბანი-ხალას და სოფელ გვარაში, გიორგაძეების მიმართულებით, ახალი ხიდების მშენებლობა დასრულდა. ახალი ხიდით 250 ოჯახი კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას შეძლებს.

დასრულებულ სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე მოადგილესთან, სპეციალისტებსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან ერთად გაეცნო.

ჩაქვში ახალი ხიდი ჩაისუბნისა და ხალას ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ ყველა სოფელს დააკავშირებს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 288 999 ლარია, ხოლო გიორგაძეების მიმართულებით ახალი ხიდის მშენებლობის სახელშეკრულებო ღირებულება 261 499 ლარს შეადგენს.

უცხოეთი

ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებული ვითარება დაძაბულია, არსებობს კიევის რეჟიმის მხრიდან დივერსიის განხორციელების საფრთხე, რომელიც შეიძლება, კატასტროფული იყოს, - ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა. მისი მტკიცებით, რუსეთის ხელისუფლება ყველა ზომას იღებს ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მანამდე უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ სადაზვერვო მონაცემების თანახმად, რუსმა სამხედროებმა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის რამდენიმე ენერგობლოკის სახურავზე ასაფეთქებლის მსგავსი ობიექტები განათავსეს. „ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურისთვის საფრთხის ერთადერთი წყარო რუსეთია“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

ჩინეთმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ჯოზეფ ბორელს პეკინში დაგეგმილი ოფიციალური ვიზიტი გაუუქმა. ჩინურ მხარეს ვიზიტის გაუქმების მიზეზი არ განუმარტავს. ბორელი პეკინში მომდევნო კვირას უნდა ჩასულიყო ჩინეთის ლიდერ სი ძინპინთან შესახვედრად. ბორელის სპიკერ ნაბილა მასრალის განცხადებით, „სამწუხაროა მსგავსი გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც ევროკავშირი ჩინეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს“.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის განცხადებით, რამდენიმე შედარებით მშვიდობიანი ღამის მიუხედავად, ქვეყანაში მასობრივი არეულობის დასრულებაზე საუბარი ნაადრევია. მისივე თქმით, საფრანგეთს წინ ბასტილიის აღების დღე (საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული) ელოდება. „არ ვფიქრობ, რომ ყველაფერი უკან არის. ვნახოთ, რა გველის 13 და 14 ივლისს და, ასევე, მომდევნო თვეებში“, - აღნიშნა მაკრონმა. საფრანგეთის შსს-ს ინფორმაციით, 27 ივნისიდან ქვეყანაში არეულობების 3 500 მონაწილეა დაკავებული, დაიწვა თითქმის 6000 ავტომანქანა. არეულობა პოლიციელის მიერ 17 წლის ახალგაზრდის მკვლელობას მოჰყვა.

* * *

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის ფედერაცია ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ, კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“ კი ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. ვანკუვერში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ტერორიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის, რუსეთის მთავრობის სახელით „ვაგნერის“ ჯგუფის ქმედებები კი სამართლიანად შეიძლება დახასიათდეს ტერორისტულად. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა პირადად აღიარა, რომ „ვაგნერი“ სრულად ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ.

* * *

„თალიბანი“ ავღანეთში სილამაზის სალონების დახურვას გეგმავს. მანკიერების პრევენციისა და სათნოების გავრცელების სამინისტროს პრესსპიკერ მუჰამედ სადიკ აკიფის განცხადებით, ქალთა სილამაზის სალონები ერთ თვეში დაიხურება. აკრძალვა შეეხება როგორც დედაქალაქ ქაბულს, ისე პროვინციებს.

მოამზადა
ია შველიძემ

ანანო ვერძაძე – წარმატებისკენ მიმავალ გზაზე

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღევანდელი მუყაითი, მიზანდასახული და წარმატებული სტუდენტი ქვეყნის ხვალინდელი დღის კეთილსაიმედოობის გარანტიაა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწორედ ასეთი სტუდენტებით გამოირჩევა. ***ანანო ვერძაძე*** *აქაც რჩეული გახლავთ. ის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტია, შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფვა კი ის თვისებებია, რომლებითაც ყურადღებას იპყრობს ეს ნიჭიერი გოგონა. 70-პროცენტიანი დაფინანსებით ჩაირიცხა ბსუ-ში. ამჟამად ანანო Erasmus-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საბერძნეთის ქალაქ სიტიაში, კრეტას ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას. როგორი იყო გზა წარმატებისაკენ, რა იტაცებს და სად ხედავს თავს მომავალში? - ამ ინტერვიუდან შეიტყობთ.*

- სანამ სტუდენტი გახდებოდით, ანუ მოსწავლეობის პერიოდი და სასურველი პროფესიისთვის მზადება...

- მომავალი პროფესიის არჩევაზე ბევრი არ მიფიქრია, ადრეულ ბავშვობაშივე დავისახე მიზნად, გავმხდარიყავი ექიმი. ჩემს მოწოდებასა და მიზანში ეჭვი აღარ შემპარვია. ამ არჩევანზე დიდი გავლენა მოახდინა ოჯახმა, ვინაიდან ვაგრძელებ ტრადიციას. ჩემი ოჯახის გენეალოგიური ხე უამრავ მედიკოსს მოიცავს. ბავშვობიდან ვაკვირდებოდი მშობლების სამუშაო გარემოს, მათი და პაციენტების ურთიერთობას, განკურნებულთა ბედნიერ სახეებს, ცხოვრების ამაღლებულ ხარისხს. სწორედ მაშინ გავიაზრე, რაოდენ ჰუმანური და ლამაზია ექიმის პროფესია. მაშინვე განვსაზღვრე ის პასუხისმგებლობაც, რომელსაც ჰიპოკრატეს გზით ცხოვრება ჰქვია და გადავწყვიტე, მეც ამ გზით მევლო. კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით და ვიმედოვნებ, რომ ღირსეულად გავაგრძელებ ამ ძალიან რთულ გზაზე სიარულს.

- გაცვლითი პროგრამით საბერძნეთის ქალაქ სიტიაში - კრეტას ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტში სწავლა დიდი წარმატებაა, გილოცავთ! როგორი იყო გზა წარმატებისაკენ?

- წარმატებისკენ მიმავალი გზა არასდროს არის ადვილი. თავდაუზოგავი შრომა, მიზანსწრაფულობა, მიზნის მიღწევის დაუოკებელი სურვილი, მარცხი, პატარ-პატარა გამარჯვებები, თეთრად გალეული ღამეები, მოტივაცია და საკუთარი თავის რწმენა - აი, სწორედ ესენი განაპირობებენ წარმატებას. წარმატებისკენ ჩემი სწრაფვა სკოლის ასაკიდანვე იწყება. ვიყავი წარჩინებული და აქტიური მოსწავლე, სასკოლო პროგრამასთან ერთად ვეუფლებოდი სხვადასხვა უცხო ენას, სახელდობრ: ინგლისურს, რუსულს, გერმანულსა და თურქულს, ვმონაწილეობდი აკადემიურ ღონისძიებებში, დავდიოდი ფიზიკისა და სპორტის წრეებში. ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია - 2020 წლის აგვისტოში დაგვირგვინდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული 70%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით. სწორედ აქედან იწყება ჩემი აკადემიური ცხოვრების მეორე და მთავარი ეტაპი. წარმატებისკენ დაუოკებელი მიზანსწრაფულობა კიდევ უფრო გაღვივდა საუნივერსიტეტო სივრცეში. რამდენჯერმე გახლდით სახელმწიფო სტიპენდიის მფლობელი. აქტიურად ვმონაწილეობდი საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და ადგილობრივ აკადემიურ ღონისძიებებში. Erasmus+ - ამ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამდე 4-ჯერ გახლდით საერთაშორისო პროგრამების გამარჯვებული, აქედან ორი იყო Erasmus+ მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამა (უნგრეთი, იტალია), ხოლო დანარჩენი ორი - გერმანული სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამები, რომლებმაც საშუალება მომცეს, აკადემიურის გარდა, კულტურული არსენალიც შემევსო გერმანიასა და სომხეთში. ჩემი მსოფლმხედველობა და ინტერესები ფართოა. დაინტერესებული ვარ სხვადასხვა გლობალური პრობლემითა და სამეცნიერო დარგით. მაგალითად: გლობალური დათბობითა და ბუნებისდაცვითი, მიგრაციის, ომისა და მშვიდობის საკითხებით, კონფლიქტოლოგიით, პოლიტიკით, სამედიცინო მენეჯმენტითა და საზოგადოებრივი ჯანდაცვით, თანამედროვე მსოფლიოს მიღწევებითა და გამოწვევებით, გაერთიანებული ერების მიერ მოწოდებული მდგრადი განვითარებისთვის საჭირო 17-კომპონენტიანი გეგმის სრულყოფის საკითხებით და სხვა. მუდმივად ვარ წარდგენილი სამედიცინო კონფერენციებში მომხსენებლის სტატუსით, რაც გარკვეულწილად კიდევ უფრო მზრდის პროფესიული მიმართულებით. ვფიქრობ, სწორედ ეს კონდენსირებული კომპეტენცია, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის დიდი სურვილი და თავდაუზოგავი შრომა გახდა ჩემი საბერძნეთში სწავლის გაგრძელების მიზეზი. საბერძნეთი რიგით მე-9 უცხო ქვეყანაა, სადაც გაცვლითი პროგრამით ვსწავლობ. ჩემი მიზანია, მომავალში კიდევ უფრო გავზარდო ეს რიცხვი აკადემიური ღონისძიებების ხარჯზე.

- ბსუ-ის უნივერსიტეტს განსაკუთრებით ემადლიერებით?

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ჩემი ალმა მატერი და ვამაყობ ამით. ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების, დეკანატის მადლიერი ვარ. აქ ცოდნას გვიზიარებენ რეგიონის წამყვანი სპეციალისტები, ლაბორატორიებში მუშაობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები, შეფასების განსხვავებული მეთოდები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადმინისტრაციული პერსონალის კეთილგანწყობა სტუდენტებისადმი ცოდნის ხარისხიანად დაუფლების საშუალებას გვაძლევს. უნდა აღინიშნოს ამავე უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის როლი სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებაში, რადგან სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ჩემი უნივერსიტეტი საქართველოში ერთ-ერთი ლიდერთაგანია გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებით. მე ნამდვილად ვურჩევ მომავალ სტუდენტებს, არჩევანი ძალიან დიდი ისტორიის, წარმატებული აწმყოსა და კიდევ უფრო წარმატებული მომავლის მქონე ჩვენს უნივერსიტეტზე შეაჩერონ.

- როგორ სწავლობთ, როგორ ცხოვრობთ სიტიას უნივერსიტეტში?

- უნივერიტეტი გამოირჩევა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტების რაოდენობით, ხოლო ნუტრიციისა და დიეტის დეპარტამენტი, რომელშიც ვსწავლობ, უდავოდ, ერთ-ერთი წამყვანია რეგიონში. აქ სწავლობენ სტუდენტები საბერძნეთის 14-ივე რეგიონიდან, კვიპროსიდან და სხვადასხვა ევროპული ქვეყნიდან. აკადემიური პროცესი არის სასიამოვნო, რადგან ის შედგება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკულ-ლაბორატორიული ნაწილებისგან. პროფესორებთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა, რადგან ისინი გამოირჩევიან ყურადღებით, თავმდაბლობითა და კეთილგანწყობით. უნივერსიტეტში შექმნილია მულტიკულტურული გარემო, შეფასება ხდება სხვადასხვა სისტემით. მაგალითად, ახლახან დავასრულე უნივერსიტეტის მასშტაბით ეპიდემიოლოგიური კვლევა ხმელთაშუა ზღვის დიეტისა და სტუდენტების ნუტრიციული ჩვევების კორელაციასთან დაკავშირებით და ვმუშაობ ნაშრომის სრულყოფაზე. კვლევის შედეგებს იხილავს ფართო მასშტაბის აუდიტორია. სწავლების პროცესი ნამდვილად არ არის იოლი, მოითხოვს შრომის, დროისა და ენერგიის დიდ რესურსს, თუმცა მიღებული ცოდნისა და ახალი მეცნიერების აღმოჩენის სიხარული აბათილებს ზემოთქმულს.

- ახალი მეცნიერება აღმოაჩინეთ? ამაზე უფრო დეტალურად გვიამბეთ და რა შეცვალა, საერთოდ, სიტიას უნივერსიტეტში სწავლებამ თქვენს ცხოვრებაში?

- დიახ, მე აღმოვაჩინე მეცნიერება ნუტრიციის შესახებ. ეს არის ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი და კომპლექსური სამეცნიერო მიმართულება, რომელიც აერთიანებს სხვა სამედიცინო დისციპლინებს, ხოლო პაციენტების ნუტრიციული სტატუსის გასაუმჯობესებლად ან შესანარჩუნებლად საჭიროა ნუტრიციოლოგების ჩართულობა სხვა სპეციალობის ექიმებთან სამუშაო პროცესში, რადგან კოლაბორაციის საფუძველზე მოხდება სწორი მკურნალობა. ამ უნივერსიტეტში სწავლამ, აკადემიურის გარდა, პიროვნულად გაზრდის შესაძლებლობაც მომცა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს ხშირად ვტოვებ მივლინებების გამო, 5-თვიანი ვადა ახალი გამოცდილება იყო ჩემთვის, შესაბამისად, ვისწავლე ცხოვრებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან მარტო გამკლავება. უცხო ქვეყანაში ცხოვრებამ საშუალება მომცა, განმევითარებინა ინტერპერსონალური კომუნიკაციისა და კულტურული უნარები, ახლებური თვალით შევხედე გარე სამყაროს, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავშიც გავერკვიე. დაბოლოს, დავრწმუნდი, რომ „მარტოკაცი ჭამაშიაც ცოდვაა“.

- უნივერსიტეტს რეგიონიდან ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების პროფესორები...

- უცხოელი პროფესორების სამუშაო ვიზიტები უნივერსიტეტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ისინი სტუდენტებს განვითარების, ფრიად მნიშვნელოვან საკითხებსა და თანამედროვე მიღწევებზე ცოდნის მიღების საშუალებას აძლევენ. ჩატარებული ლექციების ბოლოს სტუდენტებს შეუძლიათ, დასვან კითხვები და კიდევ უფრო გაიღრმაონ ცოდნა. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ პროფესორებს აქვთ სხვადასხვა უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მუშაობის გამოცდილება. ჩემი მობილობის პერიოდში უნივერსიტეტს ეწვივნენ პროფესორები პალესტინიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საქართველოდან. ჩემთვის დიდი პატივი იყო მობილობის პერიოდში მიმღებ უნივერსიტეტს ემასპინძლა მშობლიური უნივერისტეტის ჩემთვის გამორჩეული და რესპექტაბელური ასოცირებული პროფესორისთვის, ქალბატონ ლეილა ახვლედიანისთვის.

- თუ ქართულ და საბერძნეთის სასწავლო პროცესებს შევადარებთ?...

- არ მივიღებთ მკვეთრად განსხვავებულ სურათს - მსგავსებებიცაა და განსხვავებებიც. პირველი განსხვავება, რაც თვალში მომხვდა, იყო შეფასების სისტემა, რადგან თუ საქართველოში მოდულის საერთო ჯამური ქულა 100-ს შეადგენს, ეს რიცხვი საბერძნეთში 10-ს უდრის. აქვე აღვნიშნავ, რომ შეფასების ტიპები და კრიტერიუმები აქაც მრავალფეროვანია, თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, საბერძნეთში სტუდენტის დასწრებადობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და შეფასებაზეც აისახება.

- რას გვეტყვით ბერძნების ცხოვრების წესსა და ლეგენდარულ ათენზე?

- ბერძნული კულტურა თავისი ისტორიითა და ცხოვრების წესით ძალიან საინტერესოა. ჩემს ცნობიერებაში ბერძნები ყოველთვის დარჩებიან ლაღ, კომუნიკაბელურ, მხიარულ და დროის სასიამოვნოდ გატარების მოყვარულ საზოგადოებად. თუკი ბერძნებს და გერმანელებს შეადარებთ ერთმანეთს, მალევე აღმოაჩენთ, რომ გერმანულ დისციპლინასთან არცთუ ისე ახლოს არიან, რადგან საქმის გადადებაშიც ნახულობენ ხიბლს, ხოლო დაგვიანება საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას - დრო ხომ ყოველთვის არის მათთვის. საბერძნეთი არ ჩამორჩება ცხოვრების ვესტერნულ ტიპს, რაც დაკვირვებული ადამიანისთვის ადვილად შესამჩნევია. საზოგადოების ფართო ნაწილისთვის პრიორიტეტია კარიერული წინსვლა. შესაბამისად, ქართველებთან შედარებით ბერძენ წყვილებს ერთსა და იმავე ასაკში 2-3-ჯერ უმცროსი შვილები ჰყავთ. ბერძნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრებთან და ოჯახთან ერთად ხშირად დროის სასიამოვნოდ გატარებას, ყოველ კვირაში, ერთხელ მაინც ატარებენ დროს ერთად. ეს დღე, ძირითადად, კვირაა, ხოლო შეკრების ადგილები რესტორნები და კაფეებია, რომელსაც ადგილობრივები „კაფეინოებს“ უწოდებენ. ბერძნული ყავა - „ელლენიკო“ ბერძნების დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილია. აქ ვხვდებით ამ ყავის ნაირსახეობებს, ხოლო აქ ჩამოსული ვიზიტიორების უმრავლესობა მალევე იცვლის ზნეს ყავის მიმართულებით. ბერძნულ ქალაქებში ყოველთვის შეხვდებით გადაჭედილ „კაფეინოებს“ დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ეს მათი კულტურის განუყოფელი ნაწილია, დრო კი ყოველთვის არის ამისთვის. ათენი - ქალაქი, რომელმაც შექმნა ისტორია, მსოფლიოს აჩუქა დიდი ფილოსოფოსები, სწორედ აქ დაედო სათავე ყველასათვის ცნობილ „დემოკრატიას“... და არამარტო. ათენში მოგზაურობა ვიზიტიორს განსხვავებულ ემოციებს უღვივებს. ანტიკური საბერძნეთის ნაშთები უძველეს ისტორიაში გამოგზაურებთ. დაგეუფლებათ გრძნობა, რომ რომელიმე კოლონადასთან შეიძლება ზევსს ან სხვა მითოლოგიურ არსებას გადაეყაროთ, ან სულაც პლატონმა გაგიზიაროთ თავისი შეხედულებები. თანამდროვე ათენიც გაგაოცებთ, რადგან ის ადრინდელის ღირსეული შთამომავალია. ათენში ჩასვლის პირველ დღეს ორი კულტურული შოკი მივიღე. პირველი გახლდათ ის, რომ მეტროპოლიტენი იყო უზადოდ მოწესრიგებული, სუფთა და ქათქათა, ხოლო მეორე - ქალაქის ცენტრში გაშენებული ციტრუსის ხეები, რომლებიც გამვლელებს თავს კეკლუცად აწონებენ, ხეების ნაყოფები კი „თვალებს ჭყეტენ“ და მზესავით ანათებენ, ახალისებენ გარემოს.

- რა გიტაცებთ, რა აღგაფრთოვანებთ და დადებითად განგაწყობთ?

- ყველაზე დიდი გატაცება ცოდნის მიღება და თვითშემეცნებაა, რადგან ვთვლი - ადამიანმა ცხოვრების ბოლომდე არ უნდა შეწყვიტოს ეს პროცესი, რათა იცხოვროს და არა - იარსებოს. აღმაფრთოვანებენ კეთილი, უანგარო, უბოროტო და ღირსეული ადამიანები, ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გასცენ სიყვარული და დადებითი ენერგია, სამაგიეროდ კი არაფერს მოელოდნენ. დადებითად განმაწყობს ყველაფერი, რაც სიკეთესთან, წარმატებასთან, განვითარებასთან, სიხალისესა და ჯანსაღ ურთიერთობებთან ასოცირდება.

- რა მატებს ადამიანს სულიერ ძალას და თქვენ პირადად?

- ჩემი აზრით, ადამიანს სულიერ ძალას საკუთარ თავთან სიახლოვე, საკუთარი თავის რწმენა და იმედი აძლევს. ვფიქრობ, რომ ზემოთ ხსნებული ასპექტები მეც მაძლევს სულიერ ძალას. ჩემი დაკვირვებითა და აზრით, დღევანდელი საზოგადოების წევრების მთავარ პრობლემას წარმოადგენს თავიანთ თავში რწმენის არქონა, სასოწარკვეთა და თვითშეცნობის ნაკლები სურვილი. სწორედ ამიტომაც არის უმრავლესობა არასრულფასოვნების კომპლექსით, დისმორფოფობიზმითა და ეგოიზმით შეპყრობილი.

- წიგნი - თქვენს ცხოვრებაში...

იხ. მე-7 გვ.

> *„ყველაზე დიდი გატაცება ჩემთვის ცოდნის მიღება და თვითშემეცნებაა, რადგან ვთვლი - ადამიანმა ცხოვრების ბოლომდე არ უნდა შეწყვიტოს ეს პროცესი, რათა იცხოვროს და არა - იარსებოს. აღმაფრთოვანებენ კეთილი, უანგარო, უბოროტო და ღირსეული ადამიანები, ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გასცენ სიყვარული და დადებითი ენერგია, სამაგიეროდ კი არაფერს მოელოდნენ*

პარლამენტმა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო დაჩქარებული წესით გააუქმა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს მრჩეველთა საბჭო გაუქმდა „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული კანონპროექტით, რომელსაც პარლამენტის 79-მა წევრმა 29 ივნისს, მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი

მმართველმა პარტიამ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი 2023 წლის მაისის ბოლოს წარმოადგინა და პირველი მოსმენითაც მალევე მიიღო, თუმცა თავდაპირველი ვერსია მრჩეველთა საბჭოს გაუქმებას არ გულისხმობდა და ეხებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობის 9-დან 11-მდე გაზრდას, ასევე, მარეგულირებელი ორგანოსთვის - კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის სამეურვეო საბჭოს წევრობის ორი კანდიდატის წარდგენის უფლების მინიჭებას.

მეორე კენჭისყრამდე „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი შეცვალა. კერძოდ, კომუნიკაციების ეროვნული კომისია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში წევრობის კანდიდატებს აღარ წარადგენს. სამაგიეროდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 1-ის ნაცვლად 3 კანდიდატის წარდგენის უფლება ექნება. გაუქმდა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო და სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ისე აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებს. სამეურვეო საბჭო თანამდებობაზე სამი წლის ვადით დანიშნავს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორს, თანხმობას მისცემს მას ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს აღემატება, ასევე, განსაზღვრავს დირექტორის შრომის ანაზღაურებას. გარდა ამისა, სამეურვეო საბჭო აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის წარდგინებით მიიღებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტს, აგრეთვე, ბიუჯეტში ცვლილებებს და დაამტკიცებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

მმართველი გუნდის გადაწყვეტილებას პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გენო თებიძე გამოეხმაურა. მან საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს გაუქმებას მავნებლური გადაწყვეტილება უწოდა.

„ეს ემსახურება მხოლოდ იმას, რომ მრჩეველთა საბჭო ვიღაცას თვალში არ მოსდიოდა არც აქ და არც თბილისში. ვიღაცას არ მოსწონს, ჰყავდეს მაკონტროლებელი ორგანო. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ეს არის უკან დახევა. დარწმუნებული ვარ, თუ ასე გაგრძელდა, ბუნებას შეიცვლის აჭარის ტელევიზია და რადიო. პერსპექტივაში მას ჩამოშორდება საინფორმაციო გადაცემები და შემდეგ უკვე გადაკეთდება კულტურული ღონისძიებების არხად, შემდეგ რა იქნება გაურკვეველია“

„მაშინ, როცა ევროკავშირის მიერ წარდგენილი 12 პუნქტიდან ერთ-ერთი თავისუფალი მედიაგარემოს და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფაა, „ქართული ოცნება“ დაჩქარებული წესით იტაცებს ინსტიტუციებს და თავისუფალი სიტყვის სივრცეებს ხურავს. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს გაუქმებასთან ერთად, გაუქმდა ტელევიზიის დამოუკიდებლობაც. ეს ნიშნავს, რომ რეგიონის დონეზე კიდევ ერთ ინსტიტუტს ახრჩობენ და რაც მთავარია, კლავენ მაუწყებლის იდეას - კანონის ძალაში შესვლისთანავე მოქმედ, არჩეულ წევრებს უწყდებათ უფლებამოსილება და აჭარის ტელევიზიის პრიორიტეტებს, გადაცემების შინაარსს და ბიუჯეტს პირველი არხის სამეურვეო საბჭო დაგეგმავს. ასევე დაამტკიცებს დირექტორს.

მოგეხსენებათ, რომ მას შემდეგ, რაც საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის ტელევიზია და რადიო მაუწყებლად გადაკეთდა (2013 წლის 12 ივლისიდან), ორივე მოწვევის ბორდი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებით დაკომპლექტდა (გამონაკლისი მხოლოდ ორი, ოპოზიციის კვოტით არჩეული წევრი), და არც ერთხელ არ მიუღიათ ტელევიზიისა და თანამშრომლების სასიკეთო გადაწყვეტილება. მაინც მიგვაჩნია, რომ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს, როგორც ინტიტუტის გაუქმება კიდეც უფრო დააზარალებს ქართულ მედიაგარემოს და დეკლარირებულად მივიღებთ ერთით მეტ სახელისუფლებო მედიაორგანიზაციას.

გარდა ამისა, მაუწყებლის შესახებ კანონში შესული ცვლილება აკნინებს აჭარის უმაღლესი საბჭოს ფუნქციასაც, ვინაიდან ისედაც შეზღუდული უფლებების მქონე ორგანო, ამიერიდან, მრჩეველთა საბჭოსაც ვერ დაამტკიცებს. ანუ, კიდევ ერთი ინსტიტუტის მიზანმიმართულ დაკნინებას და უფლებების წართმევასთან გვაქვს საქმე.

და რაც მთავარია, იმდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება „ქართული ოცნებისთვის“, რომ მაისის ბოლოს დარეგისტრირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, ფაქტობრივად, ერთ თვეში დაამტკიცეს და პარლამენტში აჭარიდან არჩეულ დეპუტატებს ფორმალურადაც არ უცდიათ მაუწყებლის იდეის დაცვა. მიგვაჩნია, რომ ბორდის ორი წევრის მზაობა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ „ოცნების“ მავნებლური გადაწყვეტილება, არის სამართლიანი. რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში, მხარს ვუჭერთ“, - განაცხადა „ლელოს“ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გენო თებიძემ.

მმართველი პარტიის ამ გადაწყვეტილებას სამარცხვინო და დამაკნინებელი უწოდა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს „ქართული ოცნების“ კვოტით მრჩეველთა საბჭოში არჩეულმა გიგა ჩხარტიშვილმა.

„ეს ემსახურება მხოლოდ იმას, რომ მრჩეველთა საბჭო ვიღაცას თვალში არ მოსდიოდა არც აქ და არც თბილისში. ვიღაცას არ მოსწონს, ჰყავდეს მაკონტროლებელი ორგანო. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ეს არის უკან დახევა. დარწმუნებული ვარ, თუ ასე გაგრძელდა, ბუნებას შეიცვლის აჭარის ტელევიზია და რადიო. პერსპექტივაში, მას ჩამოშორდება საინფორმაციო გადაცემები და შემდეგ უკვე გადაკეთდება კულტურული ღონისძიებების არხად, შემდეგ რა იქნება გაურკვეველია“, - აღნიშნა გიგა ჩხარტიშვილმა.

ბლიცინტერვიუ

არაფერს ნანობს, ყველა ნაბიჯით კმაყოფილია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი ბლიცინტერვიუს დღევანდელი სტუმარი ბათუმელი მომღერალი, მოცეკვავე, წამყვანი, შოუმენი და, უბრალოდ, ნიჭიერი ადამიანი ამიკო ჩოხარაძეა.

- დავიბადე...

- 1987 წლის 6 ნოემბერს.

- ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია...

- ჩემი ოჯახის კარგად ყოფნა, შვილების ჯანმრთელობა და ბედნიერება.

- ვიქნებოდი...

- უკეთესი, ვიდრე ვარ.

- საქართველოში რომ არ დავბადებულიყავი...

- დავიბადებოდი საქართველოსთან.

- დილა იწყება...

- შვილების ხმაურით, რაც ძალიან მიყვარს.

- საყვარელი ადგილი...

- ბათუმი.

- ბავშვობაში მეგონა...

- რომ ვიქნებოდი მომღერალი (ნაწილობრივ არ შევმცდარვარ).

- სიტყვა, რომელსაც ხშირად ვიყენებ...

- მოკლედ, იდეაში.

- ყველაზე კარგი რჩევა, რომელიც მოუციათ...

- კონკრეტულად არ მახსოვს, მაგრამ დედა მაძლევს ყველაზე კარგ რჩევებს.

- ცნობილი ადამიანები, რომლებსაც პირადად ვიცნობ...

- საქართველოში ცნობილ ადამიანთა 90%-ს პირადად ვიცნობ, უმეტესობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, ვმეგობრობ და მიყვარს ისინი.

- საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობა და შემსრულებელი...

- შეიძლება არენბისაც ვუსმენდე, სოულს, ჰიპ-ჰოპს, ჯაზს, ფანკს და ა.შ. მელომანი ვარ. საყვარელი მომღერალი კი უკვე 35 წელია მაიკლ ჯექსონია.

- ბოლოს წავიკითხე...

- თქვენი კითხვები, რომლებსაც ახლა ვპასუხობ.

- მოგონება ბავშვობიდან...

- ჩემი ყველა მოგონება ბათუმთანაა დაკავშირებული. როცა მის ქუჩებში დავდივარ, მაშინვე ამომიტივტივდება მოგონებები და ეს სასიამოვნო შეგრძნებაა.

- ჩემზე ამბობენ...

- ძალიან ბევრ რაღაცას, მაგრამ, ძირითადად, კარგი მომისმენია.

- არასოდეს...

- თქვა არასოდეს.

- მეშინია...

- ღმერთის. ასევე, ადამიანს არ ვაწყენინო და გული არ ვატკინო, თუმცა ეს უბრალოდ შიშია, ჯერ არაფერი დამიშავებია.

- ვიბრძოლებ...

- საკუთარი ოჯახისთვის, მამულისთვის, საკუთარი მესთვის.

- განვიცდი...

- რომ ბევრი გაჭირვებული ადამიანი გვყავს ქვეყანაში, პატარა ბავშვები ქუჩაში მშივრები არიან. როცა გამაჩნია რაღაც რესურსი, ყოველთვის ვცდილობ მათ გვერდით დავუდგე.

- სხვებისგან განვსხვავდები...

- ალბათ სიმაღლით (იცინის), იუმორით...

- ჩემი თვისებებიდან ვმალავ...

- არაფერს ვმალავ. რა თვისებებიც მაქვს, ვცდილობ, მაქსიმალურად წარმოვაჩინო.

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- 3 დღეა ასეთი. როცა დავქორწინდი, როცა ჩემი ვაჟი და ჩემი ქალიშვილი დაიბადნენ. ეს 3 დღე ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს ცხოვრებაში.

- 10 წლის შემდეგ...

- 45 წლის ვიქნები.

- მჯერა...

- წარმატების, მეგობრების, ღმერთის...

- არ მჯერა...

- ყალბი და ფარისეველი ადამიანების, როცა ამბობენ, რომ რაღაც არ შეუძლიათ.

- ვაპროტესტებ...

- ძალადობას, ბავშვებისადმი აგრესიულ მიდგომას...

- უნარი, რომელსაც მინდა ვფლობდე...

- ფრენა (რატომაც არა).

- მინდა გავიცნო...

- მსოფლიო დონის ვარსკვლავები, ჰოლივუდის მსახიობები და ა.შ.

- ბოლოს ვიტირე...

- როცა კარგ ფილმს ემოციურად ვუყურებ, შეიძლება მაგ დროს თვალები დამისველდეს.

- სიტყვა, რომელიც არ მიყვარს...

- ძირითადად, ბილწი სიტყვები ან ფრაზები.

- საკუთარ თავში მომწონს...

- როცა ბევრ ადამიანს მოსწონს რაღაც ჩემში.

- საკუთარ თავში არ მომწონს...

- არც უარყოფითზე და არც დადებით კონტექსტში მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი.

- სხვებში ყველაზე მეტად ვაფასებ...

- ერთგულებას, გვერდში დგომას, სიკეთეს.

- მაღიზიანებს...

- ადამიანები, რომლებიც ცდილობენ სხვას ავნონ. ასევე, როცა სამზარეულოში შედიხარ, კოვზი გივარდება, მის ასაღებად რომ წახვალ და შემდეგ დანაც გივარდება, ჩანგალიც და... (იცინის).

- ყველაზე რთული პერიოდი...

- ჯერჯერობით ასეთი არ გამივლია, ყველაზე კარგი პერიოდი მაქვს ახლა.

- ყველაზე ბედნიერი ვარ, როცა...

- რაღაც გულით მინდა გავაკეთო და ამით ბევრი ადამიანი კმაყოფილია.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- ნიშნობის ბეჭედი, რომელსაც არასოდეს ვიხსნი, მთელი ცხოვრება ვაპირებ ვატარო.

- ვერასოდეს ვაპატიებ...

- ცუდ საქციელს.

- საუკეთესო რაც მაქვს...

- ჩემი მეუღლე და 2 შვილი.

- ვნანობ...

- არაფერს, ყველა ნაბიჯით კმაყოფილი ვარ.

- ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც მომიღია...

- ჩემი მეუღლისგან - 2 შვილი.

- ფაქტი ჩემ შესახებ, რომელიც არავინ იცის...

- დავტოვებ ფაქტად, რომელიც არავინ იცის.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- ავიდე სახლში და ჩავეხუტო ოჯახს.

ხიჭაურის დასახლებას მალე ახალი სტატუსი ექნება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია ხიჭაურის საჯარო სკოლის დირექტორი ზემინარ ქათამაძე, რომელიც ამ საგანმანათლებლო კერის საქმიანობაზე საუბრობს

- 50 წლის განმავლობაში, ხიჭაურში 12,3 ჰექტარი ტერიტორია რუსულ სასაზღვრო ნაწილს ეკავა. აქ მოვლინებული ოფიცრების, მომუშავე პერსონალის შვილები რუსულ სკოლაში სწავლობდნენ. 1999 წლის მაისში უკანასკნელმა რუსმა ჯარისკაცმა დატოვა ტერიტორია. რუსული დროშის ჩამოხსნის შემდეგ, სამწყობრო მოედანზე ქართული დროშა აღიმართა. ყველაფერს ეროვნულს აქ ქართული სკოლის გახსნაც მოჰყვა, რაც ყველაზე საშური საქმე იყო დასახლებასა და მის შემოგარენში მცხოვრები ოჯახებისთვის. რუსული ჯარის გასვლის შემდეგ, აქ არსებულ შენობა-ნაგებობებს, საცხოვრებელ ბინებს ქართველები დაეპატრონენ და გარკვეული დროის განმავლობაში, ქართული სასაზღვრო ნაწილი მოქმედებდა. 2006 წლის დეკემბერში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა სხალთის ეპარქია დამოუკიდებელ ერთეულად დაადგინა. დასახლებაში მცხოვრებლებსა და ხიჭაურის სკოლაში მომუშავე პედაგოგებს კარგად გვახსოვს სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის, შუახევის საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის ვაჟა დავითაძის ინიციატივა და აქტიურობა, რომ ყოფილი სასაზღვრო ნაწილის ტერიტორია საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასულიყო. კეთილი, ეროვნული ადამიანების თანადგომით, 12,3 ჰექტარიდან 7,1 ჰექტარი ტერიტორია საქართველოს საპატრიარქოს დაექვემდებარა. ამის შემდეგ ხიჭაურის დასახლებამ სხვა ელფერი შეიძინა. მარტო ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ფონდ «ქართუს» სახელით, დასახლების კეთილმოწყობისთვის 5 მილიონი ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა გაიღო. 2008 წლის 9 სექტემბერს ხიჭაურში საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტი და საჯარო სკოლა გაიხსნა. სკოლაში აჭარის, ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები სწავლობდნენ და ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებდნენ. აჭარის მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, შუახევის რესურსცენტრის ხელმძღვანელების თანადგომით, ხიჭაურის საჯარო სკოლა შუახევში დღემდე ძლიერ საგანმანათლებლო კერად რჩება. მნიშვნელოვანი თანხები მოხმარდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, თვალსაჩინოებით მომარაგებას. შპს «აჭარისწყალი ჯორჯიას» სახით კარგი ქველმოქმედი გვყავს. მარტო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით არ შემოიფარგლება ხელისუფლების თანადგომა. სკოლის მიმდებარედ აშენდა ბაგა-ბაღი, სადაც დასახლებასა და ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები პატარები სკოლამდელ უნარ-ჩვევებს იძენენ. იმასაც გეტყვით, რომ შუახევში არსებული 13-დან ხიჭაურის ბაგა-ბაღი თავისი კონტინგენტით, მატერიალური ბაზით და მომუშავე პერსონალით ერთ-ერთი მოწინავეა. ბაგა-ბაღის ამოქმედება სკოლასაც წაადგა. რამდენიმე წელია პირველ კლასში საკმაოდ მომზადებულ ბავშვებს ვღებულობთ, რომლებსაც სასწავლო გარემოსთან შეგუება აღარ ურთულდებათ. მარტო ხიჭაურის საჯარო სკოლაში არ მოდიან ბაგა-ბაღის აღსაზრდელები, ისინი სწავლას იწყებენ ახალდაბის, ტაკიძეების, გოგიაშვილების საჯარო სკოლებში, თუნდაც საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ კერძო სკოლაში. ბაგა-ბაღისადმი, თუნდაც ხიჭაურის დასახლებისადმი დიდი ყურადღების დასტური იყო წელს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართული საზეიმო ღონისძიება, რომელსაც მაყურებელი არ აკლდა. ჩვენ კონკურენციისთვის არ ვმუშაობთ, სკოლის ხელმძღვანელობის, თითოეული პედაგოგის ვალია, წარმატებით შევასრულოთ ის მოთხოვნები, რასაც სასკოლო რეფორმა გვავალდებულებს.

- ეს საქმეებით როგორ დასტურდება?

- მრავალი ინიციატივის ავტორები არიან სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. წარმატებით ვერთვებით კლასგარეშე აქტივობებში. მოპოვებული გვაქვს გრანტები, დავიმსახურეთ ფასიანი საჩუქრები. მოსწავლეებმა პედაგოგების თანადგომით აღრიცხეს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალშვილიანი, ხელმოკლე, შშმ სტატუსის მქონე პირებიანი ოჯახები და მათ დახმარება გაუწიეს. შუახევის სატყეო ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს გამწვანების აქციაში. ჩვენი სკოლის ისტორიის მასწავლებელი მალხაზ ტაკიძე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და კომისიის თავმჯდომარეა. მისი აქტიურობით, მოსწავლეებმა საქმიანი ურთიერთობები დაამყარეს წარმომადგენლობით ორგანოსთან და დეპუტატები ცალკეულ საქველმოქმედო, სხვა აქციებში ჩართეს.

- სწავლის ხარისხსა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კურსდამთავრებულების მიერ მოპოვებულ შედეგებზე რას გვეტყვით?

- ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა 90-95 პროცენტი პირველსავე ცდაზე ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ხდება. რამდენიმე მათგანი გრანტის მფლობელიცაა. სკოლაში მომუშავე პედაგოგები წამყვანი და უფროსი მასწავლებლების წოდებას ატარებენ, რამდენიმე მათგანი მალე მენტორი მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებს. გვეამაყება, რომ ჩვენი სკოლის წამყვანი მასწავლებელია საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, სამი წიგნის ავტორი დავით ქათაგლი: კავიანისა და ოთოლთას ციხეები. უკვე დაწყებულია ოთოლთას ციხის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები. კავიანის ციხესთან მისასვლელი ბილიკი კლდისუბნის დასახლებაზე გავლით მოეწყო. ჯერჯერობით, იდეის დონეზეა ერთზოლიანი «ზიპლაინის» გაკეთება ოთოლთას ციხიდან კავიანის ციხემდე. მჯერა, რომ ეს წამოწყება იდეად არ დარჩება. ამის იმედს ბოლო დროს შესრულებული პროექტები მაძლევს. ყოველივე ეს ქმნის საფუძველს, დასახლებას შესაბამისი სტატუსი მიენიჭოს.

- იმ ღონისძიებებს როგორ აფასებთ, თქვენს სკოლაში რომ იმართება?

- ბოლო აქტივობა, რომელსაც სკოლის დარბაზი მასპინძლობდა, ინტელექტუალური თამაში «მოაზროვნე» იყო. ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. პირველ ადგილზე - დაბა ქედის, მეორეზე - ბრილის, ხოლო მესამეზე ხარაულის საჯარო სკოლების გუნდები გავიდნენ. გამარჯვებულ გუნდებს პრიზები შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა გადასცეს. ჩვენი დარბაზი მასპინძლობდა მასწავლებელთა პირველ და მეორე მუნიციპალურ კონფერენციებს. ბატონო ოთარ, თქვენ მიერ დაარსებულ საზოგადოებრივ-რუდუნებით დარბაზს «წუთისოფელი ასეა» პირველად ჩვენმა სკოლამ უმასპინძლა. ჩვენთან გამართული ღონისძიებები მოსწავლეთა შემეცნებით დონეს ამაღლებს, პედაგოგებში ახალ ინიციატივებს აჩენს.

- ახლა საზაფხულო არდადეგებია. რას აკეთებს ადმინისტრაცია ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დასაწყებად?

- ჩვენი მიზანია, ახალი სასწავლო წელი სიახლეებით დავიწყოთ. გარკვეული თანხები იქნება მობილიზებული მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, თვალსაჩინოების შესავსებად. ხიჭაურის დასახლებასა და მიმდებარე სოფლებში მიმდინარეობს ბუნებრივი გაზის გაყვანის სამუშაოები. დროა, სკოლაც ბუნებრივი აირით თბებოდეს. ეს უფრო ნაკლებ თანხებთანაა დაკავშირებული.

- თუ ბოლო წლების სტატისტიკას გადავხედავთ, მოსწავლეთა კონტინგენტი სტაბილურია...

- მშობლები არჩევანის წინაშე რომ დგებიან, სკოლის პრესტიჟისა და სწავლების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, უპირატესობას ხიჭაურის სკოლას ანიჭებენ. ამის დასტურია ისიც, რომ ახალ სასწავლო წელს 10-მდე პირველკლასელი მოვა ჩვენთან, რაც ახლომდებარე სკოლებთან შედარებით, საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ეს საფუძველს იძლევა, რომ სტაბილური კონტინგენტი გვქონდეს.

- ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, წელს პირველად, მოსწავლეებისთვის «ჯარის ბანაკი» შეიქმნა, რომელიც ქართული ჯარის გაძლიერებას, ახალგაზრდობის სწორ ორიენტირებას, პატრიოტული სულისკვეთების ზრდას შეუწყობს ხელს. თუ არიან ბანაკში წასვლის მსურველები თქვენს სკოლაში?

- უკვე რამდენიმე მოსწავლემ გამოთქვა მზაობა, რომ აღნიშნული ბანაკის წევრი გახდეს. ჩვენც კომპეტენტურ ორგანოებს საქმის კურსში ჩავაყენებთ.

- სკოლებში გახშირდა ადრეულ ასაკში ქორწინების, მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები...

- პირველ რიგში, მშობლების, შემდეგ თითოეული პედაგოგის დამსახურება, მათი მორალური ზემოქმედებაა, რომ ასეთი ფაქტები ჩვენთან არ გვაქვს. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლასთან ერთად, სკოლის კურსდამთავრებულები პროფესიულ განათლებას იღებენ, ჩვენთან იმ ოფიცრების, რიგითი ჯარისკაცების შვილებიც სწავლობენ, რომლებიც ქართულ ჯარში მსახურობენ. მათი შვილები მამების გზის გაგრძელებას აპირებენ. უკვე ჩვენი სკოლის მოსწავლე გოგონებიც გამოთქვამენ სურვილს, იმსახურონ ქართულ ჯარში, დადგნენ სამშობლოს თავდაცვისა და ძლიერების სადარაჯოზე.

„დასახლებაში რამდენიმე მრავალბინიანი კორპუსია. საგანმანათლებლო კერებზე უკვე ვთქვი. გარდა ამისა, მოქმედებს პირველადი სამედიცინო დაცვის ცენტრი, რამდენიმე კომერციული ობიექტი. აჭარის მთავრობამ ყოფილი სამხედრო ბინები 120-ზე მეტ ოჯახს სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად გადასცა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 5,2 ჰექტარი ტერიტორიის ერთი ნაწილი მშენებარე «შუახევიჰესის» სამეურნეო ეზოს ეკავა. ალბათ, ეს ტერიტორია მალე ახალ დანიშნულებას შეიძენს. ხიჭაურს აქვს პოტენციალი, სანიმუშო ტურისტულ კერად იქცეს“

„ვიღაც ცდილობს, საქართველო და უკრაინა ერთმანეთს გადაჰკიდოს და ამ ჯერზე ეს ვიღაც არ არის რუსეთი“

ეს სიტყვები პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს წარმოსთქვა. „დღეს რაც უკრაინას ყველაზე ნაკლებად სჭირდება, არის ის, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და, ზოგადად, სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების სასამართლო გადაწყვეტილებები (მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით - ა. გ.), ვინაიდან უკრაინას, გარდა სამხედრო ომისა, მოსაგები აქვს სამართლებრივი ომი რუსეთთან. თუკი უკრაინის პრეზიდენტი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ეს, რა თქმა უნდა, არ მიეშველება უკრაინას ამ ბრძოლაში, ამიტომ, ეს გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, თავად უკრაინისთვის არის საზიანო, და მეორე - ეს საზიანოა ურთიერთობისთვისაც. ფაქტია, რომ ვიღაც ცდილობს, საქართველო და უკრაინა ერთმანეთს გადაჰკიდოს და ფაქტია, რომ ამ ჯერზე ეს ვიღაც არ არის რუსეთი. ამით, ძირითადად, ხარობენ ის ადამიანები, რომლებიც ზეპირად ბევრს საუბრობენ უკრაინასა და საქართველოს შორის მეგობრობის მნიშვნელობაზე“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ამირან გურიელიძე

მდგრადი ენერგეტიკის დღე – ბათუმში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

„ევროპის მდგრადი ენერგეტიკული კვირეულის“ ფარგლებში, ბათუმში მორიგი აქტივობა გაიმართა. პლასტმასის ნარჩენების დახარისხების პროცესში მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. მათთვის, ასევე, მდგრადი ტრანსპორტისა და ნარჩენების გადამუშავების თემაზე ვიდეორგოლების ჩვენება მოეწყო

„საინფორმაციო მდგრადი ენერგეტიკის კვირეული“, ევროკომისიის ენერგეტიკის დირექტორატის ორგანიზებით, ყოველწლიურად ტარდება. კვირეული ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა საჯარო თუ კერძო პირების მიერ რიგი აქტივობების გამართვას მოსახლეობაში კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობიერების ამაღლების, განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის საკითხების პოპულარიზაციისათვის.

ბათუმში მდგრადი ენერგეტიკის დღე „ენერგოეფექტურობის ცენტრი - საქართველოს“ მხარდაჭერით გაიმართა.

თანადგომა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ქველმოქმედმა მანუჩარ რიჟვაძემ მშობლიური ბარათაულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში საქველმოქმედო აქცია შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესთან, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ მურად ქათამაძესთან ერთად მოაწყო

გომარდულელი ასიე ცენტერაძე მარტოხელაა. მას ეკონომიურად უჭირს. აქციის მონაწილეებმა ერთ თვეზე მეტი დროის განმავლობაში სამყოფი სასურსათო პროდუქტები საჩუქრად გადასცეს.

იმავე რაოდენობის სასურსათო კალათა მიუტანეს ოჯახში სოფელ ბარათაულის ცენტერაძეების უბანში მცხოვრებ თამაზ ცენტერაძის ოჯახს, სადაც შშმ პირიც ჰყავთ.

10 შვილის გამზრდელი დედაა ვანელი ინგა არძენაძე-ტარიელაძე. ინგას ორი წლის წინ მეუღლე მალხაზ ტარიელაძე გარდაეცვალა. დედა სასკოლო ასაკის რამდენიმე შვილს კეთილი ადამიანების თანადგომით ზრდის.

- ბატონი მანუჩარი ჩვენი თანასოფლელი იყო. მან ადრეც ხელი წაგვახმარა, ამჯერადაც პატივი დაგვდო და რამდენიმე დღის სამყოფი სასურსათო პროდუქტები ადგილობრივი ხელმძღვანელების თანდასწრებით ოჯახში დაგვიტოვა. მადლობა მას ამ ქველმოქმედებისთვის,- თქვა ინგამ.

ანანო ვერძაძე – წარმატებისკენ მიმავალ გზაზე

მე-4 გვერდიდან

- მას ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს, რადგან ჩემი დროისა და ენერგიის უდიდეს რესურსს განათლებასა და შემეცნებაში ვდებ. ვთვლი, რომ წიგნი ყველაზე დიდი საჩუქარია, რადგან მისი სწორი გამოყენება იძლევა ყველაზე კარგ კაპიტალდაბანდებას, ხოლო მომავალში რენტაბელურ გამოსავალს. ვთვლი, რომ გაგებული და არა წაკითხული წიგნები ქმნიან სულიერ საზრდოს, პიროვნული განვითარების შესაძლებლობასა და ადრენალინის მიღების იმ საშუალებას, რომელსაც წიგნის წაკითხვისა და გააზრების შემდეგ ამაღლებული განწყობა ჰქვია.

- სად ხედავთ საკუთარ თავს მომავალში, რას გეგმავთ?

- საკუთარ თავს კლინიკაში, ჩემსავე კაბინეტში, თეთრ ხალათში გამოწყობილ, პაციენტებთან მოფუსფუსე ექიმად ვხედავ, რომელსაც ექნება თანაგრძნობის გამოხატვისა და ჰუმანურობის უნარ-ჩვევები, რომლებიც, პროფესიულ კომპეტენციასთან ერთად, დაეხმარება პაციენტის განკურნებასა და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ჩემი ყველა სამომავლო გეგმა დაკავშირებულია აკადემიური ცოდნა-გამოცდილების გაღრმავებასა და უცხოური გამოცდილების მიღებასთან.

- დაბოლოს, შეკითხვა საკუთარ თავს?

- რა არის ის, რითიც მსურს თავი დავამახსოვრო საზოგადოებას და, თუ ახლა არა, მაშინ როდის? ჩემი აზრით, დრო ყოველთვის ცოტაა, უნდა ვიჩქაროთ.

მათე გათენაძე – ქედის „ეტალონი მოსწავლე“

თამაზ მგზავრიძე 27 48 93

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ პირველმა და მეორე დისტანციურმა კონკურსებმა 27 მუნიციპალიტეტის „ეტალონი მოსწავლე“ გამოავლინა

ქედის მუნიციპალიტეტიდან ამ ტიტულის მფლობელი ზვარის საჯარო სკოლის მოსწავლე მათე გათენაძე გახდა. მეორე იყო ცხმორისის საჯარო სკოლის მოსწავლე ანრი მამუჭაძე, მესამე ადგილზე მახუნცეთის საჯარო სკოლის მოსწავლე საბა დიასამიძე გავიდა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, ქედის რესურსცენტრის უფროსი დურმიშხან შავიშვილი და პროექტის ავტორი გოჩა ტყეშელაშვილი „ეტალონში“ გამარჯვებულ მოსწავლეებს შეხვდნენ და სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

- „ეტალონი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს. მისი მიზანია მოსწავლე ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მოტივაციაწახალისება და ამ მიზნით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, უნარ-ჩვევების განვითარება. „ეტალონის“ შემაჯამებელი ღონისძიება დისტანციურ რეჟიმში, ვიდეოპლატფორმის საშუალებით, 12 ივლისს გაიმართება, - გვითხრა გოჩა ტყეშელაშვილმა.

სერია „ა“-ს კალენდარი ცნობილია

„ნაპოლი“ ჩემპიონატს „ფროზინონესთან“ გასვლითი მატჩით გახსნის, რომელშიც გიორგი კვერნაძე ხვიჩა კვარაცხელიას წინააღმდეგ ითამაშებს.

„ნაპოლის“ საწყისი 5 მატჩი: **20 აგვისტო** - „ფროზინონე“ (ს), **27 აგვისტო** - „სასუოლო“ (შ), **3 სექტემბერი** - „ლაციო“ (შ), **17 სექტემბერი** - „ჯენოა“ (ს), **24 სექტემბერი** - „ბოლონია“ (ს).

ამირან გურიელიძე

უკრაინა

აშშ-ს ყოველთვის შეუძლია უკრაინის, როგორც მოკავშირის იმედი ჰქონდეს, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ აშშ-ის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ვიდეომიმართვაში. „მსოფლიო ნათლად ხედავს, რომ ახლა ის, ვინც უკრაინასთან დგას, თავისუფლებას იცავს. ჩვენი გამარჯვების შემდეგ მსოფლიო კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც თავისუფლებას აფასებს. გილოცავთ ამერიკა! და, გთხოვთ, გახსოვდეთ, რომ თავისუფალთა და მამაცთა კოალიციაში ყოველთვის შეგიძლიათ უკრაინის, როგორც მოკავშირის, იმედი გქონდეთ“, - განაცხადა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, უკრაინული გამბედაობა ამერიკულ იარაღს ითვისებს და დემოკრატიას იცავს, რომელსაც ორივე ქვეყანა თანაბრად აფასებს.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალები აგრძელებენ შეტევით ოპერაციებს მელიტოპოლისა და ბერდიანსკის სექტორებში და ამაგრებენ ახალ ფრონტის ხაზებს. უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, რუსი ოკუპანტები აგრძელებენ ძირითადი ძალისხმევის ფოკუსირებას ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკისა და მარინკის სექტორებზე, მძიმე ბრძოლები გრძელდება ფრონტის აღნიშნულ სექტორებში, სადაც დაფიქსირდა 30 საბრძოლო მოქმედება. მთლიანობაში, უკრაინულმა ავიაციამ 13 დარტყმა განახორციელა იმ ადგილებში, სადაც რუსული არმიის პერსონალი იყო კონცენტრირებული, მათ შორის, მტრის სამ საზენიტო სარაკეტო სისტემაზე და ერთ სამეთაურო პუნქტზე. უკრაინულმა სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა დაარტყეს რუსების ცოცხალი ძალის, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის კონცენტრაციის ზონას, მათ სამ საბრძოლო საცავს, 18 საარტილერიო დანაყოფს, სამ საჰაერო თავდაცვის სისტემას და ორ საბრძოლო სადგურს. რუსეთის არმიამ 35 საჰაერო დარტყმა და დაახლოებით 50 შეტევა განახორციელა უკრაინის თავდაცვის ძალების პოზიციებზე და დასახლებულ პუნქტებზე, ასევე, განახორციელა სარაკეტო თავდასხმა ხარკოვის რეგიონის ქალაქ პერვომაისკის საცხოვრებელ კორპუსებზე. რუსეთის თავდასხმების შედეგად დაზარალდა მშვიდობიანი მოსახლეობა, დაზიანდა საცხოვრებელი კორპუსები, კომერციული და ადმინისტრაციული შენობები, კერძო მანქანები.

* * *

უკრაინის გენერალური პროკურორის ოფისის განცხადებით, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ 494 ბავშვია დაღუპული. გარდა ამისა, ბავშვთა საქმეებზე მომუშავე პროკურორების თქმით, სხვადასხვა სიმძიმის ხარისხის დაზიანებები არანაკლებ 1036 ბავშვს აქვს მიღებული. დაზარალებული ბავშვების ყველაზე დიდი მაჩვენებელი მოდის დონეცკის - 472, ხარკოვის - 285, კიევის - 129, ხერსონის - 113, ზაპოროჟიეს - 91, ნიკოლაევის - 89, დნეპროპეტროვსკის - 83, ჩერნიგოვის - 71 და ლუგანსკის 67 ოლქზე. „მოცემული ციფრები საბოლოო არ გახლავთ. გრძელდება მუშაობა საბრძოლო მოქმედებების ჩატარების ადგილებში, დროებით ოკუპირებულ და აწ გათავისუფლებულ ტერიტორიებზე მსგავსი ფაქტების დასადგენად“, - ნათქვამია უკრაინის გენერალური პროკურორის ოფისის განცხადებაში.

* * *

ვოლოდიმირ ზელენსკი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს ესაუბრა. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა განიხილეს თავდაცვის შეთანხმებების შესრულება და ახლებზე შეთანხმდნენ, ასევე, დეტალურად განიხილეს ფრონტზე არსებული მდგომარეობა და რუსეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები. „პრიგოჟინის ქმედებების შემდეგ მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ რუსეთს ბრძოლის ველზე მანევრირების ადგილი არ აქვს. პირიქით, ჩვენთვის იხსნება შესაძლებლობების ფანჯარა. უნდა ვიმოქმედოთ გადამწყვეტად როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით“, - აღნიშნა ზელენსკიმ. „უკრაინის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონი გააფრთხილა, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარები ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე საშიში პროვოკაციებისთვის ემზადებიან. ორი ლიდერი შეთანხმდა, ითანამშრომლონ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რათა ელექტროსადგურზე ვითარების კონტროლი განხორციელდეს“, - აცხადებენ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/07/23, 21 55 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

საღამო, რომელიც დიდხანს გვემახსოვრება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში გერმანიაში მოღვაწე ქართველი ხელოვანის, ვირტუოზი მევიოლინის ბელა ბერკემერ-მახარაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელშიც ასევე, მისი მეუღლე, ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი უვე ბერკემერი და მათი ქალიშვილი - მარია ბერკემერი (ჩელო) მონაწილეობდნენ

საღამო, რომელიც ჟურნალისტ მედეა ჩარკვიანს მიჰყავდა და მევიოლინე ბელა მახარაძის უდროოდ გარდაცვლილი ძმის პაატა მახარაძის ხსოვნას მიეძღვნა, პოეზიითა და მუსიკით იყო გაჯერებული.

ამ შესანიშნავი მუსიკოსების ბათუმში ჩამოსვლა ყოველთვის დიდი სიხარულია. ბელა ბერკემერ-მახარაძე წარმოშობით ნატანებიდანაა. როცა სამუსიკო სკოლის მესამეკლასელი გახლდათ, ჩვენი პირველი ვიოლინო თემურ შალვაშვილი ნატანებში, სამუსიკო სკოლის პედაგოგად მიიწვიეს. სწორედ მან დაინახა პატარა გოგონაში გამორჩეული მუსიკალური ნიჭი და ვიოლინოს შესწავლა შესთავაზა. სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში წამოიყვანა, ბოლო წელს კი გოგონა თბილისში გადავიდა სასწავლებლად. აქვე უნდა ვთქვათ, რომ პატარა ბელა, ბათუმში სწავლის დროს, ბატონი თემურის ოჯახში ცხოვრობდა. თავისი ნიჭის წყალობით, ბათუმის კამერულ თუ სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად, ყოველწლიურად იდგა სცენაზე, მართავდა სოლო-კონცერტებს. ბელა მახარაძე თბილისის კონსერვატორიაში სწავლის დროს ლიანა ისაკაძის სტიპენდიატი გახლდათ და სწორედ მისი თხოვნით დაიწყო საქართველოს კამერულ ორკესტრში მუშაობა, წარმატებითაც გამოდიოდა სხვადასხვა ქვეყანაში გასტროლებისას.

25 წლის ასაკში გაჰყვა ის ბატონ უვეს და უკვე მასთან ერთად განაგრძობს შემოქმედებით კარიერას. 2000-დან 2005 წლის ჩათვლით, ის მსოფლიო კამერულ ორკესტრში, ხოლო 2005 წლიდან, როგორც სოლისტი, ასევე, კავკასიურ კამერულ ორკესტრში სოლისტის სახით უკრავდა, რასაც მრავალი საქველმოქმედო კონცერტი მოჰყვა. 2017 წლის ზაფხულში ბელა მახარაძე სამეფო უბნის თეატრში მაყურებლის წინაშე კამერულ ორკესტრთან ერთად წარსდგა.

რაც შეეხება მის მეუღლეს, ცნობილმა მუსიკოსმა ფრანკფურტის ხელოვნების უნივერსიტეტი სხვადასხვა განხრით დაამთავრა. უვე ბერკემერი ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებით. ხშირად გამოდიოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ინტენსიურად მონაწილეობდა კონკურსებსა თუ სატელევიზიო გადაცემებში. აქვს არაერთი მუსიკალური ჩანაწერი.

უვე ბერკემერმა 1999 წელს დიტცენბახის საერთაშორისო ფესტივალი დააფუძნა, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნიდან ცნობილი ორკესტრები და სოლისტები ჩამოჰყავდა. თავად ბატონი უვე არაერთი ნაწარმოების ავტორია. ერთ-ერთი სავიოლინო კონცერტი, რომელიც მან ლიანა ისაკაძეს მიუძღვნა, საქართველოს კამერულ ორკესტრთან, თავისივე ფესტივალზე გერმანიის ქალაქ დიტცენბახში, ლიანა ისაკაძესთან ერთად შეასრულა. 2000 წლიდან 2003 წლამდე საქართველოს კამერული ორკესტრის მოწვეული დირიჟორი გახდა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე იყო. სწორედ მაშინ გაიცნო მომავალი მეუღლე ბელა მახარაძე. ორი წლის შემდეგ, მან საქართველოში უმაღლესი დონის მუსიკოსებისგან კავკასიური კამერული ორკესტრი ჩამოაყალიბა, რომელიც მნიშვნელოვან გასვლით კონცერტებსა და ტურებს მართავდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

2008 წელს გერმანიაში დაბრუნდა, სადაც ქალაქ იბენბიურენის გიმნაზიაში დაიწყო მოღვაწეობა, აქვე ჩამოაყალიბა საბავშვო გუნდი, კამერული ორკესტრი და ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი. ამავე წელს იგი იტალიის ქალაქ ვენეციაში „უტოპიის“ ელჩად აღიარეს, შვეიცარიის ტელევიზიამ მასზე 90-წუთიანი ფილმი გადაიღო, რომელმაც ვერონაში გამართულ ფესტივალზე გრან პრი აიღო. 2017 წელს საქართველოში, სამეფო უბნის თეატრში ფესტივალი ჩაატარა, რომელზეც ახალგაზრდა მუსიკოსები მოიწვია სხვადასხვა ქვეყნიდან.

რაც შეეხება ბათუმში გამართულ კონცერტს, მასზე მუსიკოსებმა როგორც ცნობილი უცხოელი, ისე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები შეასრულეს მაღალ პროფესიულ დონეზე, რაც სათანადოდ შეაფასა მსმენელმა და მხურვალე აპლოდისმენტებითაც დააჯილდოვა. კონცერტზე პატარა დეკლამატორებმა პაატა მახარაძის ლექსები წაიკითხეს, ხოლო ილია ჭავჭავაძის პრემიის „ივერია“ და რევაზ ინანიშვილის პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა თემურ გოგრაძემ პაატა მახარაძის (ბართლომეოსის) ლექსების მიხედვით, დარბაზს მონოსპექტაკლი შესთავაზა.

ბელა მახარაძე, ეს ნიჭიერი, თავმდაბალი ადამიანი და მისი მეუღლე, სითბოთი და სიკეთით სავსე კაცი არამარტო ნატანებელებს უყვართ. მათ უკვე კარგად იცნობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ამის დასტური იყო ის, რომ საღამოს ძალიან ბევრი ადამიანი დაესწრო თბილისიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან...

მსახიობმა, ხელოვნებათმცოდნემ, გამომცემლობა „ოდას“ დირექტორმა სოფო ღლონტმა ამავე გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ პაატა მახარაძის ლექსების კრებულზე - „ხილვა“ შეაჩერა ყურადღება. აღნიშნა, რომ პოეტი მისი მეგობარი იყო. როდესაც კატასტროფაში დაიღუპა, მისი ხელნაწერი ლექსები ნახა და გაუჩნდა მათი კრებულად გამოცემის სურვილი. კრებულში 200 ლექსის გარდა, ლიტერატორების რეცენზიები, პაატას წერილები, ასევე, ანდერძიც შეიტანა. წიგნი 2021 წელს გამოიცა. როგორც სოფო ღლონტმა აღნიშნა, პაატა დაბადებიდანვე იყო პოეტი, ჰუმანისტი მწერალი, რომელიც თავისი ჩუმი ცხოვრებით ხმაურობდა.

ბელა მახარაძემ თემურ შალვაშვილი სცენაზე მიიხმო და ამაგისთვის მადლობა საჯაროდ გადაუხადა. აღნიშნა, რომ ის მისთვის უსაყვარლესი პედაგოგია და სწორედ მისი დამსახურებაა, ასე ძალიან რომ შეუყვარდა ვიოლინო.

- ის კარგი მოსწავლე იყო... დღეს საკუთარი სტილი გააჩნია, ძალიან კარგი მევიოლინეა, საყვარელ ნაწარმოებებს შესანიშნავად ასრულებს, - გვითხრა თემურ შალვაშვილმა.

გამორჩეულად მოეფერა ბელა მახარაძე მუსიკოს მანანა გაბაიძეს, რომელმაც მისი ძმის ლექსებზე ორი ნაწარმოები დაწერა და საღამოზე მოვისმინეთ კიდეც.

- ეს ჩემთვის პირველი სავიოლინო ნაწარმოებია, რომელიც ქალბატონ ბელას შეკვეთით დავწერე. მთხოვა, ტანგოს მაგვარი მელოდია დამეწერა, მიკარნახა კიდეც, როგორ გამეკეთებინა და დავწერე „ტანგო“. მეორე ნაწარმოები მისი ძმის ხსოვნას მივუძღვენი, - გვითხრა მანანა გაბაიძემ.

ბათუმურ კონცერტზე უვე ბერკემერმა შეასრულა ქართულად „სულის სილამაზე“.

როგორც აღვნიშნეთ, ეს „ოჯახური“ კონცერტი ბელა მახარაძის ძმის ხსოვნას მიეძღვნა და მისი პოეზიის ჩართულობით მიმდინარეობდა. პაატა მახარაძე 2021 წლის 6 სექტემბერს ავტოავარიაში დაიღუპა.

- მინდა მას ყოველთვის მივუძღვნა საღამო, რომელიც პოეზიითა და მუსიკით იქნება გაჯერებული. პაატას არაჩვეულებრივი პოეზია აქვს. ბედნიერი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ, როგორი სიყვარული მოდის მაყურებლიდან. დღეს მინიმუმ ათი სხვადასხვა ქალაქიდან იყვნენ ჩამოსულები, მათ შორის, ჩემი ფეისბუქმეგობრებიც, ძალიან გამიხარდა, მადლობა მათ, - აღნიშნა ბელა მახარაძემ, რომელიც 23 წელია გერმანიაში ცხოვრობს.

უვე ბერკემერს ძალიან უყვარს ქართველი კომპოზიტორები - აზარაშვილი, ცინცაძე, ნასიძე... ვაჟა აზარაშვილი მათი მეგობარია. როგორც აღნიშნა, ძალიან მოეწონა მანანა გაბაიძის მუსიკა. დასძინა, რომ მათი შვილი მარი სხვადასხვა კონკურსის მრავალგზის ლაურეატია, უფროსი ქალიშვილი კი კიოლნის უმაღლეს სასწავლებელში საოპერო განხრით სწავლობს და მომავალი მომღერალია.

ამაღელვებელი იყო დარბაზთან ერთად შესრულებული „სულიკო“.

- ასეთ დონეს რომ მიაღწიო, ბევრი შრომაა საჭირო. მადლობა ქალბატონ ბელას, რომ როცა საქართველოში ჩამოდის, ბათუმს არ ივიწყებს, კონცერტს ატარებს. მათი უფროსი ქალიშვილიც, რომელიც დღეს აქ არ იმყოფება, შესანიშნავად მღერის. ბატონი უვე, არაჩვეულებრივი მუსიკოსი, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ უკვე „ქართველია“, მათი უმცროსი გოგონა მარი კარგი ჩელისტი და იმედისმომცემი ახალგაზრდაა, - გვითხრა თამაზ ნიკოლაიშვილმა.

საღამოს დასასრულ სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მხარდაჭერისთვის, თამაზ ნიკოლაიშვილს - თანადგომისთვის, თითოეულ მობრძანებულ სტუმარს, მეგობარს - დაფასებისა და სიყვარულისთვის.

საჭადრაკო ტურნირი - რელიგიურ ორგანიზაციებს შორის

რელიგიურ ორგანიზაციებს შორის საქართველოს მეორე გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში დასრულდა

რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მეორე საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებული საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს გუნდი გახდა, მეორე ადგილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გუნდმა დაიკავა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილზე საქართელოს სახარების რწმენის ეკლესიის გუნდი გავიდა.

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, ჩემპიონატში მონაწილეობდნენ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ებრაელთა კავშირის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირის, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის, საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭოსა და ასევე, რელიგიის სააგენტოს გუნდები.

ამირან გურიელიძე